



მომზადებულია საქართველოს ენერჯეტიკის
და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი

ჯვრის 500/220 კვ ქვესადგურისა
და ქ/ს “ჯვარი“-ე.გ.ხ. “კავკასიონის” და ქ/ს “ჯვარი“-ქ/ს “ხორგას”
ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების
ანგარიში

არატექნიკური რეზიუმე



მომზადებულია: ფონდი “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის” მიერ

მაისი, 2013წ.
თბილისი

თავფურცელი

პროექტის დასახელება:	შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი
დოკუმენტის სათაური:	ჯვარის 500/220 კვ ქვესადგურისა და ქ/ს “ჯვარი”- ე.გ.ხ. “კავკასიონის” და ქ/ს “ჯვარი”-ქ/ს “ხორგას” ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
მომზადდა:	ფონდი “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”
თარიღი:	თებერვალი, 2012, გადახედილია მაისი 2013
ძირითადი ავტორები:	ლალი ახალია, მედგარ ჭელიძე, მერაბ გაფრინდაშვილი, ირაკლი კავილაძე, ანდრეი კანდაუროვი, მარიამ ქიმერიძე, ბაადურ უკლება
WEG-ის პროექტის მენეჯერი:	მედგარ ჭელიძე
დამკვეთის წარმომადგენლები:	
შპს “ენერგოტრანსი”	მაია გიქოშვილი დირექტორის მოადგილე
სსე	მაია ფიცხელაური ანგარიშგებისა და საერთაშორისო პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის მენეჯერი
სსე	ქეთი დგებუაძე პროექტების კოორდინატორი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში ანგარიშ ებისა და საერთაშორისო პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტი

აბრევიატურები

ACSR	ფოლადის ძარღვიანი ალუმინის სადენი
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
ESP	EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (2008წ.)
EU	ევროკავშირი
GoG	საქართველოს მთავრობა
GSE	სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”
HVDC	მაღალი ძაბვის მუდმივი დენის სისტემა
MoE	გარემოს დაცვის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OHL	საპაერო ელექტროგადამცემი ხაზი
OPGW	ოპტიკურ ძარღვიანი მესდამცავი გვარდი
SEP	დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების გეგმა
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
WEG	ფონდი “მსოფლიო გამოცდილება საქართველოს”
RoW	გასხვისების ზოლი

1. შესავალი

საქართველოს ენერჯის სისტემაში ენერჯოგამომწოდებისა და ენერჯოდატვირთვას შორის მნიშვნელოვან დისბალანსს აქვს ადგილი. კერძოდ, საქართველოს ენერჯოწარმოების 2/3 ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია კონცენტრირებული მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოთხოვნილების 2/3 აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის, ხოლო პოტენციური საექსპორტო ბაზრები ძირითადად საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებშია (მაგ., თურქეთი, ირანი და ერაყი. სამივე ქვეყანა ხასიათდება სწრაფი ეკონომიკური განვითარებითა და ელექტროენერჯის მოხმარებაზე გაზრდილი მოთხოვნით). აღნიშნული ბაზრებიდან ნებისმიერზე გასასვლელად აუცილებელია საიმედო მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ქსელის ხელმისაწვდომობა. ამჟამად, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს ერთმანეთთან ელექტრულად მხოლოდ ერთი მძლავრი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი აერთებს. ამ ხაზის ნებისმიერი გაუმართაობა, განსაკუთრებით შემოდგომასა და ზამთარში, იწვევს ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტს აღმოსავლეთ საქართველოში, რისი შედეგიცაა მთელი სისტემის ხშირი ამორთვები. ენერჯეტიკის სამინისტროს ინიცირებით და აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ დააფინანსა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება საქართველოში ელექტროენერჯის გადაცემის საიმედო სისტემის ყველაზე ეკონომიური ტექნიკური ვარიანტის დასადგენად (კულიჯანი, 2008).

გარდა სახელმწიფო ელექტროენერჯეტიკული სისტემის საიმედოობის დაქვეითებისა, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების დეფიციტი ზღუდავს ელექტროენერჯის გაცვლის მიმდინარე და სამომავლო შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალსა და ხელს უშლის მის ელექტროენერჯის სატრანზიტო ქვეყნად (იგულისხმება ელექტროენერჯის ექსპორტი აზერბაიჯანიდან თურქეთში) ჩამოყალიბებას.¹ ასევე გასაგებია, რომ ერთის მხრივ, ინვესტიციების ჩადება ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში სავარაუდოდ დამოკიდებულია მასზე, თუ რამდენად მყარია სათანადო ელექტროგადამცემი ხაზების დროულად აშენების პირობა, ხოლო მეორეს მხრივ, ელექტროგადამცემი ხაზების დაფინანსება გენერაციის პროექტების განვითარების რეალურ პერსპექტივებზეა დამოკიდებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ქსელის მოდერნიზაცია და ახლის მშენებლობა საქართველოს მთავრობისათვის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა განაგრძოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება დღევანდელი მოთხოვნების და საექსპორტო პოტენციალის საჭიროებების გათვალისწინებით და, ამ მიზნით, მიმართა განაცხადით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და “ევროპის სამეზობლო საინვესტიციო ფონდს” (EC NIF) (შემდგომში კოლექტიურად მოიხსენიებიან, როგორც “ბანკები”) შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის დაფინანსების შესახებ, რომლის საორიენტაციო ჯამური ღირებულება 270 მილიონ ევროს შეადგენს.

აღნიშნული პროექტის პირველი ფაზა მოიცავდა გარდაბნიდან ზესტაფონამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის, ახალციხის ახალი ქვესადგურის და ამ ქვესადგურიდან

¹ ენერჯეტიკის სამინისტრომ ჩაატარა სტრატეგიული კვლევა იმის დასადგენად, არის თუ არა თურქეთში ადეკვატური მოთხოვნა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე და, ამასთან ერთად, თუ რამდენად საკმარისია აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული და ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებული სამომავლო ელექტროენერჯის გენერაციის სიმძლავრეები ახლად აშენებული ელექტროგადამცემი ხაზით თურქეთის ბაზრების ელექტროენერჯით მომარაგებისთვის. კვლევით დადასტურდა, რომ ეს განხორციელებადია საქართველოს ჰიდროენერჯეტიკულ სისტემაში დამატებითი ინვესტიციის ჩადებისა კონკურენტუნარიანი ფასების პირობებში.

თურქეთის საზღვრამდე ასევე ახალი 400 კვ ე.გ.ხ.-ს მშენებლობას, რაც დღეისთვის უკვე დასრულებულია.

პროექტის მეორე ფაზაში, რომელიც ბანკების და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდება, უნდა აშენდეს ახალი ხაზები, რომლებიც ქვემოთ არიან განხილული. ამ ფაზის “ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების ანგარიში” (შემდგომში ასევე ESIA ან “გზშ”) ფოკუსირებულია პროექტის მეორე ფაზის შემდეგ კომპონენტებზე:

- (1) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის 2x8 კმ სექციების მშენებლობა 500 კვ ე.გ.ხ. “კავკასიონიდან” (სოფ. მუჟაგასთან) (2) ჯვარის ახალ 220 კვ ქვესადგურამდე;
- (3) მიახლოებით 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა ე.გ.ხ.-ს მშენებლობა ჯვარიდან ხორგამდე, რომელიც ერთმანეთთან შეაერთებს დაგეგმილ (4) ხორგას (220 კვ) და (5) ჯვრის (500 კვ) ქვესადგურებს.

პროექტის მე-2 ფაზაში ასევე შედის სხვა კომპონენტებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე გზშ-ს განხილვის საგანს, კერძოდ:

- ხორგას (220 კვ) ქვესადგურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია (ფინანსირდება აზიის განვითარების ბანკის მიერ)²
- (6) ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა დაბა ჯვართან

შპს “ენერგოტრანსი”, რომლის 100%-ის წილის მფლობელია სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” (“სსე”), წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ სააგენტოს. “ენერგოტრანსი” პასუხისმგებელი იქნება ხაზის დაპროექტებასა და მშენებლობაზე ტექნიკურ კონსულტანტთან ერთად, რომელიც დაქირავებულია საერთაშორისო ტენდერის გზით უშუალოდ “შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტისათვის”. “ენერგოტრანსი” წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც განკარგავს რამდენიმე უკვე აშენებულ ელექტროგადამცემ ხაზს³, ხოლო გასხვისების ზოლის სრულად შეძენის შემდეგ, ახლად აშენებული ხაზებიც მას გადაეცემა.

“სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიში”, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა ბანკების მოთხოვნების გათვალისწინებით არის შედგენილი, შეფასებულია პროექტის კომპონენტებთან დაკავშირებული პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებები და იდენტიფიცირებული და შემუშავებულია მათი თავიდან აცილების, შემცირების და/ან შერბილებისთვის გამიზნული ღონისძიებები. გზშ-ში ასევე წარმოდგენილია “გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა” (ESAP), რომელშიც განსაზღვრულია მოქმედი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სავალდებულო მოქმედებები, EBRD-ის “გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით” განსაზღვრული “სამოქმედო მოთხოვნების” ჩათვლით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გზშ-ს არატექნიკურ რეზიუმეს.

² აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაოების ტექნიკური პროექტი დამუშავებულია მსოფლიოში მიღებული დაპროექტების და მშენებლობის სტანდარტებისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

³ 500 კვ ე.გ.ხ.-ები “მესხეთი”, “ვარძია” და “ზეკარი”

2. გამოყენებული სტანდარტები, გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა და სპრინინგის განსაზღვრა

პროექტის განხორციელების გეგმა დააკმაყოფილებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ჯვრის ქვესადგურისთვის შემოთავაზებულია ევრო-სტანდარტების (EURO-NORMS) გამოყენება, რომლებიც მიესადაგებოდა “შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის” პირველი ფაზის B პაკეტით (ახალციხის ქვესადგური) განსაზღვრულ სამუშაოებს.

გზშ-ში დეტალურად არის აღწერილი საქართველოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემა და ადმინისტრაციული სტრუქტურა, გარემოსდაცვითი ნორმებისა და პროცედურების ჩათვლით, და იდენტიფიცირებულია ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოები და უწყებები, რომლებსაც გააჩნიათ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნების იძულებითი აღსრულებისთვის საჭირო ზომების მიღების უფლებამოსილება.

პროექტი უნდა განხორციელდეს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2008) მოთხოვნების დაცვით.

“გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის (2008) თანახმად პროექტების, რომლებიც დაკავშირებულია მაღალი ძაბვის (500/220 კვ) ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობასთან საჭიროებს სრულმასშტაბიან გზშ-ს მომზადებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვებას. შესაბამისად, 2012 წლის ივლისში, გზშ გამოტანილ იქნა 60-დღიანი საჯარო განხილვისთვის, ხოლო 2012 წლის 5 და 6 სექტემბერს მოეწყო შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებზეც მონაწილეებს ჰქონდათ პროექტთან დაკავშირებული შეხედულებების და შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობა. მოსალოდნელია, რომ 2013 წლის ივნისში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემენ გზშ-ში მითითებული საქმიანობების წარმოებისთვის საჭირო, შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების და მშენებლობის ნებართვებს.

EBRD-ის “გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის” დოკუმენტის შესაბამისად, პროექტი მიეკუთვნება A კატეგორიას, რადგან იგი მოიცავს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას აუთვისებელ ტერიტორიაზე და, ასევე, მოითხოვს მიწის შეძენას და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ზოგიერთი შინამეურნეობის ფიზიკურ გადანაცვლებას. როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე ბანკის პოლიტიკა მსგავსი (A) კატეგორიის პროექტებისთვის მოითხოვს სრულმასშტაბიანი გზშ-ს მომზადებას საჯარო განხილვასთან ერთად. შესაბამისად, 2012 წლის გზშ თავდაპირველადვე მიზნად ისახავდა აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კერძოდ, პროექტის “დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების გეგმაში” აღწერილია, თუ როგორ იურთიერთებს “ენერგოტრანსი” დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ჩათვლით.

3. პროექტის აღწერა

პროექტის შემადგენლობაში შედის:

- 500 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (“ე.გ.ხ.”) მშენებლობა არსებული 500 კვ ე.გ.ხ. “კავკასიონიდან” (სოფ. მუჟავასთან) გეგმიურ ჯვარის 220 კვ ქვესადგურამდე;
- მიახლოებით 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა ე.გ.ხ.-ს მშენებლობა ჯვარიდან ხორგამდე, რომელიც ერთმანეთთან შეაერთებს დაგეგმილ ხორგას (220 კვ) და ჯვრის (500 კვ) ქვესადგურებს; და
- ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა დაბა ჯვართან.

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა

მუყავა-ჯვარის 500 კვ ე.გ.ხ.-ს საერთო სიგრძე მიახლოებით 8 კმ-ს შეადგენს. ამ ხაზზე დამონტაჟდება ACSR (ფოლადის ძარღვიანი ალუმინის) სადენები და ოპტიკურ ძარღვიანი ფოლადის მესდამცავი გვარლით (OPGW).

ე.გ.ხ.-ს სიგრძის, გეგმიური ტრასის და რელიეფის პირობების გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნება შემდეგი ოთხი ტიპის ანძები, რომელთა ჯამური რაოდენობა დაპროექტების მიმდინარე ეტაპზე 24-თ განისაზღვრება, მათ შორის:

- ძველი (რუსული) კონსტრუქციის – 2
- შუალედური ტიპის – 6
- მცირეკუთხიანი დამჭიმავი ტიპის – 10
- დიდკუთხიანი და კიდურა ანკერული ტიპის – 6

ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 60 კმ. ეს ხაზიც ACSR ტიპის ელექტროსადენებით და ოპტიკურ ძარღვიანი მესდამცავი გვარლის (OPGW) საშუალებით იქნება გაყვანილი. მიმდინარე მონაცემებით, აღნიშნული ე.გ.ხ.-ს ტრასაზე აღიმართება ოთხი ტიპის 178 ანძა, მათ შორის 88 ნორმალური შუალედური, 20 – ანკერულ-შუალედური, 51 – მსუბუქი დამჭიმი და 19 დიდკუთხიანი და კიდურა ანკერული.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით შესრულდება:

- მცენარეულობის გაკაფვა შეზღუდული სიგანის (62მ) სამშენებლო დერეფანში (სურ. 1);
- გრუნტის ზედაპირული ფენის (ნიადაგის) მოხსნა, მისასვლელი გზების (4.5მ სიგანის) რეაბილიტაცია/მშენებლობა;
- ანძების საძირკვლების ქვაბულების გათხრა, ქვაბულების ძირებზე ხრეშის საგების მოწყობა, ანძების ფუნდამენტების მონტაჟი და ქვაბულის უკუშევსება (სურ. 2, სურ. 4);
- დამიწების კონტურის მონტაჟი და ანძების სამონტაჟო მოედნების მომზადება;
- ანძების გადაზიდვა;
- ანძების მონტაჟი (სურ. 3);
- სადენების და მესდამცავი გვარლის (OPGW) მონტაჟი;
- სამუშაო უბნების გასუფთავება სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენებისგან, შენახული ნიადაგის და ნიადაგქვეშა გრუნტის გაშლა და ანძების ძირებში მცენარეული საფარის აღდგენა. ანძების საძირკვლების ქვაბულების 90%-ზე უკუშევსებისთვის საჭირო იქნება ინერტული მასალების კარიერებიდან შემოზიდული ახალი მასალების გამოყენება.



სურ.1. მერქნიანი მცენარეების გაკაფვა ვიწრო დერეფანში



სურ. 2. საძირკველის ფუნდამენტების მონტაჟი



სურ 3. საყრდენების აღმართვა



სურ. 4. საყრდენების მონტაჟი

მიმდინარე მონაცემებით, შესაძლოა საჭირო გახდეს ორი ან სამი სამშენებლო ბანაკის მოწყობა, რომლებიც სავარაუდოდ განთავსდებიან სოფლებთან პირველი ხორვა, ნარაზენი და ღია. სინამდვილეში, ამ ბანაკებს საქმიანი ეზოების სახე ექნებათ და მეტწილად გამოყენებულ იქნებიან მოწყობილობის შენახვის, ავტომობილების პარკირების, საწვავით გამართვის და ა.შ. მიზნით და არა მუშების საცხოვრებელ ობიექტებად. მუშები ძირითადად ზუგდიდში, წალენჯიხაში, ხობში და ჯვარში დაქირავებულ სახლებში იცხოვრებენ.

ინერტული მასალების კარიერები განლაგებულია ხობში და ჯვარში⁴. კარიერებიდან ანძების სამშენებლო მოედნებამდე შემესები მასალები გადაზიდულ იქნება ჩვეულებრივი სატვირთო ავტომობილებით. მტვრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ტრანსპორტირებისას ტვირთზე ტილო გადაეფარება.

⁴ საშუალოდ, თითოეული ანძის საძირკველის მოსაწყობად საჭირო იქნება ერთი სატვირთო ავტომობილით 4 სვლაზე შემოტანილი მოცულობის მასალა.

4. პროექტის ალტერნატიული ვარიანტები

პროექტის განუხორციელებლობის (ე.წ. “ნულოვანი”) ვარიანტი

პროექტისა და უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობისა და მისი კონსულტანტების მიერ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, საიმედო ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობა აუცილებელია ქვეყნის სტაბილური ელექტრომომარაგებისა და ქვეყნის საექსპორტო და სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების მიზნით. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებული ელექტროენერჯის ძირითადი სადგურების მაღალი ძაბვის ე.გ.ხ.-ების ქსელში ჩართვას ალტერნატივა არ გააჩნია.

220 კვტ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის ალტერნატიული მარშრუტები

220 კვ “ხორგა-ჯვრის” ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზი ერთმანეთთან აკავშირებს ხორგას 220 კვ და ჯვრის 500 კვ ქვესადგურებს.

220 კვ “ხორგა-ჯვრის” ორჯაჭვა ე.გ.ხ.-ს გასხვისების ზოლის შერჩევის მიზნით შესწავლილ იქნა ორი ალტერნატიული მარშრუტი (იხ. რუკა 1).


ალტერნატიული მარშრუტი №1: ხობის რაიონის სოფ. ხორგა - გაღმა 1 - ხორგა 1 - გურიფული - საბუკიო - ტორსა - დიდი ნეძი - ახალი კახეთი - ქ. ზუგდიდის კომბინატის დასახლების მიმდებარე ტერიტორია - ლია - ზედა ლია.

ალტერნატიული მარშრუტი №2: ხობის რაიონის სოფ. ხორგა - გაღმა 1 - ხორგა 1 - ნოჯიხევი - ზემო ბია-ბია - საშონიო - ჯაფშაკარი - ნარაზენი - ჭაქვინჯი - ყულიშკარი - გრიგოლიში - ჭკადუაში - ეწერი - ზედა ლია.

მარშრუტი №1-ის ჯამური სიგრძე 70 კმ-ს შეადგენს, ხოლო №2-ის – 60 კმ-ს. ტყით დაფარული ტერიტორიის სიგრძე, რომლებიც უნდა გადაიკვეთოს ალტერნატიული მარშრუტებით დაახლოებით უდრის 10.5-11 კილომეტრს. გარდა ამისა, ალტერნატიული მარშრუტები გადაკვეთენ რიგ წყალსადინებს (25 და 26 წყალსადინარი, შესაბამისად №1 და №2 ალტერნატიული მარშრუტებისთვის).

თუმცა, მარშრუტი №1 კვეთს ძალზედ მჭიდროდ დასახლებულ დასახლებებს (სოფ. ხობის სიახლოვეს, ქ. ზუგდიდის შემოგარენში, სოფ. ნარაზენსა და ქ. ზუგდიდს შორის მონაკვეთზე) და, ასევე, მდ. ხობის ორთავე მხარეს განვითარებულ ჭარბტენიან ტერიტორიებს, რომლებზეც მშენებლობა დამატებით გართულდება გრუნტების არამდგრადობის გამო.

განსახლების კუთხით ძლიერი ზემოქმედებისა და სამშენებლო სამუშაოების სირთულის, ასევე კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ უბნებზე ანძების მდგრადობის უზრუნველყოფის ზომების მაღალი ღირებულებისა და მცირე საიმედოობის გამო 1-ლი მიმართულება უარყოფილ იქნა. ალტერნატიული მარშრუტი №2 განაპირობებს განსახლების ნაკლებ ზემოქმედებას და უზრუნველყოფს ანძების უფრო მტკიცე გრუნტებში მშენებლობას. შესაბამისად, პრიორიტეტი №2 მარშრუტს მიენიჭა.



რუკა 1. 220 კვ “ჯვარი-ხორგა“-ს ალტერნატიული მარშრუტები

5. პროექტის პოტენციური ზემოქმედების ძველ მოქცეული ეკოლოგიური რეკავტორები

ასაშენებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი იწყება მთაგორიან ტერიტორიაზე, ე.გ.ხ. “კავკასიონიდან”, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ენგურჰესს და რუსეთში მდებარე ქს “ცენტრალნაია“-ს. ახალი 500 კვ ე.გ.ხ.-ს პირველი ნახევარი გადის ძალზედ დანაწევრებულ მთაგორიან რელიეფზე, რომელზეც განვითარებულია უამრავი ღრმად ჩაჭრილი ხეობა, რაც ასევე უაღრესად ართულებს ხაზთან მისვლის შესაძლებლობას. საყრდენების სამშენებლო მოედნებთან მიდგომისთვის მეტწილად გამოყენებულ იქნება სასოფლო მოხრეშილი გზები. მისასვლელ გზის 1 კმ სიგრძის მონაკვეთს დასჭირდება გაფართოება. გარდა ამისა, ე.გ.ხ.-ს გასხვისების ზოლში საჭირო იქნება 1 კმ სიგრძის ახალი მისასვლელი გზის გაყვანა.

220 კვ ხაზის ტრასა (რომელიც ძირითადად განსაზღვრულია, თუმცა შეიძლება მცირედ დაკორექტირდეს დასკვნითი დაპროექტების სტადიაზე) მეტწილად საშუალო სიმაღლის მთაგორიან ტერიტორიაზე, საძოვრებზე და მიტოვებულ პლანტაციებზე გადის. ზოგიერთ ადგილში ტრასა გადაკვეთს საკარმიდამო ნაკვეთებს (შენობებიდან ნორმატიული დაშორებების დაცვით), ტყეებს, 0.4-10-35-110-220 კვ საპაერო ელექტროგადამცემ ხაზებს, მდინარეებს ლებარდე, დიდი ჩხოუში (2-ჯერ), პატარა ჩხოუში, ლეარსამე, კიარსამე, კულისწყალი (3-ჯერ), ჭკეი, უმნია, სკაია, ჭანისწყალი, ოგეჯისდედე, პარტილი, ხობი, ნიშია, ოგაჩე და 8 უსახელო დედე.

უმრავლესობა ანძების სამონტაჟო მოედნებამდე მისვლა არსებული გზებით შეიძლება, რომლებიც გაფართოებას მხოლოდ რამდენიმე უბანზე საჭიროებენ. კერძოდ გასაფართოებელია ტყიან ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთები სოფლებს ნაპოშტუს და ბაიას (მიახ. 1კმ სიგრძის) და გრიგოლიშა და ნათსატუს (1კმ) შორის.

საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების ტრასები ძირითადად გადიან ძლიერ ტრანსფორმირებულ უბანულ და აგრარულ ლანდშაფტებში, დაცული ტერიტორიებიდან და მაღალი ღირებულების ჰაბიტატებიდან მოცილებით. ანკერული ანძების აღმართვის ადგილებში გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური (გეოტექნიკური) თვისებები და მზიდუნარიანობა თითქმის ყველგან მისაღებია. რაც შეეხება გეოლოგიურ პირობებს, მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო დერეფანში და მიმდებარედ ფიქსირდება საშიში გეოდინამიური პროცესები, რომლებიც კერძოდ უკავშირდება არაღრმად ჩაწოლილ მეწყრულ სხეულებს, მდინარეების ნაპირების გარეცხვას, დატბორვას და დაჭაობებას, ანკერული ანძების ოპტიმალურად განთავსების პირობით (რასაც პროექტი ითვალისწინებს), მსგავსი საფრთხეების რისკი მინიმალური დონისაა.

სპეციალური ლიტერატურის განხილვის შედეგებისა და სავსე რეკონსტრუირების შედეგების საფუძველზე, პროექტის სამშენებლო დერეფანში გამოიყო შემდეგი საშუალო და მაღალი სენსიტიურობის უბნები:

მაღალსენსიტიური:


- უბანი მდებარეობს სოფლებს ბიას და ზედა ბიას შორის (სენსიტიური ზონა 2), ზღვის დონიდან 100 მეტრ სიმაღლეზე მდებარე 50-60 გრადუსი დახრილობით. ჩრდილო და სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე წარმოდგენილია დეგრადირებული (ჩეხვა) წიფლნარ-რცხილნარი, რომელსაც ერევა *Corylus avellana*, *Ficus carica*, *Fraxinus excelsior*, *Acer campestre*, *Mespilus germanica*. ქვეტყეში წარმოდგენილია-*Rhododendron luteum*, *Ilex colchica*, *Ruscus ponticus*; ლეშამბოს ქმნის-*Hedera colchica*, *Smilax excelsa*, *Periploca graeca*.

საშუალოსენსიტიური:

- სენსიტიური ზონა 1: ზღვის დონიდან 50 მ სიმაღლეზე ე.გ.ხ.-ს ტრასა მიუყვება მურყნის (*Alnus barbata*) ყოფილ (ამჟამად გაჩეხილია და ამოყრილია ახალგაზრდა

ხეები) ქარსაფარს. მურყნარს კიდეებში აქაც ასარეგლიანებს *Erigeron bonariensis*, *Erigeron canadensis*, *Bidens tripartita*, *Xanthium spinosum* და სხვ. ასევე, მურყნარის პირებში გვხვდება მცირედ დაჭაობებული ადგილები-*Juncus effuses*-ისა და *Schoenoplectus tabernaemontani*-ს მონაწილეობით.

- სენსიტიური ზონა 2: 100 მ ზღ. დ., ფერდობის დახრილობა 0⁰-25⁰. ამ მონაკვეთზე ასევე გვხვდება ტუნგის (Aleurites) ტყეები, რომლებშიც შერეულია *Robinia pseudoacacia*, *Alnus barbata*, *Gleditschia triacanthos*, *Diospyros lotus*, *Ailanthus altissima*, *Crataegus* sp., *Berberis vulgaris*, *Poncirus trifoliata*, *Rubus* sp., *Smilax excelsa*, *Hedera caucasigena*, *Sambucus ebulus*, *Pteridium tauricum* და სხვ.
- სენსიტიური ზონა 3: სოფ. მუჟავა, 382 მ ზღ. დ. მურყნარი თითო-ორიოლა რცხილას (*Carpinus caucasica*) შერევით. ქვეტყეს ქმნის ჩაი, თხილი (*Corylus avellana*), იელი (*Rhododendron luteum*); გვხვდება – ეკალიჭი (*Smilax excelsa*), *Phitholaca americana*, ღია ადგილებში – ტუნგის ხეები. იშვიათად წაბლი (*Castanea sativa*).



სენსიტიური ზონა 1. დეგრადირებული ქარსაცავი ზოლი








სენსიტიური ზონა 2. რცხილნარი - წიფლნარი ტყეებით



სენსიტიური ზონა 2. რცხილნარი



სენსიტიური ზონა 3. რცხილნარის და იფნის ტყე

- | | | | |
|--|--------------------------------------|---|--|
|  | 220 kV Transmission Line |  | Sites of Medium Ecological Sensitivity |
|  | 500 kV Transmission Line |  | Sites of High Ecological Sensitivity |
|  | Sites for Detailed Zoological Survey | | |

რუკა 2. შემდგომი დეტალური ზოოლოგიური კვლევებისთვის გამოყოფილი ეკოლოგიურად სენსიტიური ზონები და უბნები

ფაუნის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უბნები

რუკებსა და თანამგზავრებიდან გადაღებულ ფოტოებზე ჩატარებული კამერალური სამუშაოების შედეგების საფუძველზე ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში გამოიყო ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით პოტენციურად მნიშვნელოვანი 13 უბანი, რომელთაგან თითოეულზე ჩატარდა სავსე აღწერები.

ეს უბნებია:

- უბანი №1: (426 მ ზ.დ.) მდოვრე გორაკებზე მდებარე დასახლებული ტერიტორია ჯვარი-ენგურჰესის გზასა და სოფ. ეწერფერდს შორის. დაფარულია მეჩხერი მურყნარით, რცხილისა და წაბლის ცალკეული ხეებით. ზოგან ერევა კოლხური ქვეტყე და ლიანები;
- უბანი №2: (284 მ ზ.დ.) მდ. ოლორის ჭალა, სოფ. ეწერფერდის დასავლეთით – ჭარბტენიანი მდელო და მურყნარი;
- უბანი №3: (245 მ ზ.დ.) მდ. ენგურის ჭალის მდელოები;
- უბანი №4: (360 მ ზ.დ.) ტყით დაფარული ციცაბო ფერდობი ჯვრის სამხრეთით;
- უბანი №5: (329 მ ზ.დ.) ტყე პატარა მდინარე დიდი ჩხოუშის ჭალაში, სოფ. ორჯონიკიძის ჩრდილოეთით;
- უბანი №6: (310 მ ზ.დ.) მდ. დიდი ჩხოუშის გატყიანებული ჭალის გადაკვეთა, სოფ. ორჯონიკიძის სამხრეთით;
- უბანი №7: (300-255 მ ზ.დ.) ტყე სოფ. ჭკადუაშიდან 1 კმ აღმოსავლეთით, მდ. პატარა ჩხოუშის მარცხენა ნაპირზე;
- უბანი №8: (290-150 მ ზ.დ.) შედარებით გრძელი ტყიანი უბანი მდ. ყულისწყლის ხეობაში, სოფლებს წალენჯიხის მეურნეობასა (ჩრდილოეთით) და კულიშკარს (ძველ სამხედრო რუკებზე – ორჯონიკიძე) (სამხრეთით) შორის, სოფ. გრიგოლიშიდან დაახლოებით 1,5 კმ-ით აღმოსავლეთით;
- უბანი №9: (230-190 მ ზ.დ.) ტყე სოფ. ჭაქვინჯიდან დასავლეთით;
- უბანი №10: (190-115 მ ზ.დ.) ტყე გორაკზე სოფლებს ნარაზენსა და ძველ ხიბულას შორის;
- უბანი №11: (~30 მ ზ.დ.) მდინარეების წითელი, ჭანისწყალის, პარტიკი, ხობისწყალი ჭალები, სასოფლო-სამეურნეო მიწებითა და ჭარბტენიანი მდელო-საძოვრებით;
- უბანი №12: (30-110 მ ზ.დ.) ტყიანი გორაკი ბია - ბია-საშონოს საავტომობილო გზასა და სოფ. ნაფოშტუს შორის. პოლიდომინანტური ტყე – ძირითადად, რცხილა და ჯაგრცხილა კარგად განვითარებული ბუჩქნარით, რომელიც ქმნის ტიპურ მარადმწვანე კოლხურ ქვეტყეს;
- უბანი №13: (7-8 მ ზ.დ.) ჭარბტენიანი უბანი (დაჭაობებული მდელო სარეველათი და ლაქაშით) და დევრადირებული (გაკაფული) მურყნარი სოფლებს გაღმა-პირველი-ხორგასა და გიმოზგონჯილს შორის გაყვანილი საირიგაციო (სადრენაჟო) არხის გასწვრივ, რომელსაც კვეთს მეორე არხი – ცივა (ლუბეკი).

6. პოტენციური ზემოქმედება ბარემოზე და შვიარბილეული ღონისძიება

მშენებლობის ეტაპი

მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედებების უმრავლესობა დროებითი ხასიათის იქნება. ასეთი ზემოქმედებები მეტწილად უკავშირდება ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა სამშენებლო დერეფნის და უბნების მცენარეულობისგან გაწმენდა (ხეების გაკაფვის ჩათვლით), მიწის სამუშაოები, დაჭაობებულ ტერიტორიებზე დროებითი დრენაჟების მოწყობა, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, მძიმე ტექნიკის ექსპლუატაცია და ტექნომსახურება და მასალების გადაზიდვა. ჩვეულებრივ, მსგავსი საქმიანობების მხრიდან ზემოქმედების შესამცირებლად საკმარისია გამართული სამშენებლო პრაქტიკის გამოყენება. ამასთან, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სენსიტიურ უბნებზე პოტენციური ზემოქმედებების ამპლიტუდა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს და მოითხოვოს სპეციფიური დამცავი და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება.

ჯვრის ქვესადგური და პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზები ძირითადად განთავსდებიან მნიშვნელოვნად სახეცვლილ ლანდშაფტებში, დაცული ტერიტორიებიდან და ხელუხლებელი ჰაბიტატებიდან მოცილებით. თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ე.გ.ხ.-ს დერეფნები რამდენიმე ტყიან ტერიტორიასაც კვეთენ. გზატკეცილებისა და მილსადენების მშენებლობის პროექტებისგან განსხვავებით, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა მიწის ზედაპირის მცენარეულობიდან გაწმენდას მხოლოდ შეზღუდულ ფართობებზე საჭიროებს. კერძოდ, მცენარეული საფარის სრულად და მუდმივად მოცილება მხოლოდ ანძების სამონტაჟო მოედნებზეა საჭირო, ხოლო ანძებს შორის (მაღლების ქვეშ) საკმარისია მაღალი ხეების გადაბეჭვა ბუჩქებსა და ბალახის საფარზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის გარეშე.

ზემოქმედება: ანძების და ქვესადგურის საშუალებების მშენებლობის თანმხლები ნიადაგის მოხსნა და ბუჩქებისა და ხეების გაკაფვა.

შერბილება: მოხსნილი ნიადაგი შეინახება ფუჭი გრუნტისგან განცალკევებით მოწყობილ ყრილებში, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ანძების ქვეშ გრუნტის სტრუქტურის აღდგენისა და შემდგომში მცენარეული საფარის ხელახლა მოწყობისთვის გამოყენების მიზნით. მოჭრილი ხეებისა და სხვა მერქნიანი მცენარეებისთვის განხორციელდება საკომპენსაციო ღონისძიებები (უფრო დეტალური მონაცემები იხილეთ გზშ-ს ცხრილში 6.5).

ზემოქმედება: სამშენებლო ბანაკისა და მისასვლელი გზების ექსპლუატაცია უკავშირდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლის დამატებითი მოცულობების გენერირებას. ასევე, მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენებისა და ჭარბი გრუნტის მასალების წარმოშობაც.

შერბილება: ენგური-ჯვარი-ხორგას ობიექტების სამშენებლო ფაზაში უზრუნველყოფილ იქნება ნარჩენების მართვისა და უტილიზაციის გეგმის შესრულება, რომლის თანახმადაც ყველა სახის ნარჩენების მართვა იწარმოებს საქართველოს კანონმდებლობისა და მოწინავე საერთაშორისო დამცავი ღონისძიებების შესაბამისად.

ზემოქმედება: გასხვისების ზოლის გაკაფვა და ანძების საძირკვლების მოწყობისთვის მიწის სამუშაოების შესრულება გამოიწვევს ეროზიული პროცესების წარმოქმნას ან გააქტიურებას.

შერბილება: მომზადდება და განხორციელდება “ეროზიის საწინააღმდეგო გეგმა”. სამუშაოები მდგარი წყლის ობიექტებიდან 50 მეტრ რადიუსში არ იწარმოებს ან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სამშენებლო საქმიანობების დასრულების შემდეგ, ყველა შემოფოთებულ უბანზე ჩატარდება აღდგენითი სამუშაოები (გრუნტის სტაბილიზირების და მცენარეული საფარის აღდგენის ჩათვლით).

ზემოქმედება: სამშენებლო ტექნიკისა და ავტომობილების პარკირებას, ექსპლუატაციას და ტექმომსახურებას თან ახლავს საწვავისა და საცხებ-საპოხი მასალების დაღვრასთან დაკავშირებული რისკები.

შერბილება: საწვავით გამართვა მოხდება მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ გასამართ ადგილებში, სადაც მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება დაღვრილი მასალების აწმენდის საშუალებები. ასეთი ადგილები 100 მეტრზე მეტად იქნება მოცილებული წყალსადინებიდან ან ბუნებრივი წყალსატევებიდან.

ზემოქმედება: სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაცია და ტექმომსახურებას თან ახლავს გარკვეული ხმაურის, ვიბრაციის, მტვრის და ემისიების წარმოშობა.

შერბილება: მოწყობილობისა და ავტომობილების სათანადო გამართულობის უზრუნველყოფა, სამუშაოების გამოსასვლელ დღეებში და ღამის საათებში წარმოების შეზღუდვა, განსაკუთრებით დასახლებული ადგილებიდან 0,5 კმ-ზე ახლოს. გვაღვიან ამინდში გამოყენებულ იქნება წყლის დასაშხეფლები ან მტვრის გავრცელების საწინააღმდეგო სხვა საშუალებები. ბალახის საფარი მშენებლობის დასრულების შემდეგ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში იქნება აღდგენილი.

ზემოქმედება: ხრეშოვანი და შემესები (ყრილის) მასალების მოპოვება დაკავშირებულია ლანდშაფტების და მდინარეების კალაპოტების დაზიანების რისკებთან.

შერბილება: ყველა ინერტული მასალა (გრუნტი, ხრეში და ა.შ.) მოპოვებულ იქნება მხოლოდ სათანადოდ ლიცენზირებული ობიექტებიდან.

ექსპლუატაციის ეტაპი

ახალი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პერიოდში პოტენციურად შესაძლებელია მხოლოდ ძალზედ შეზღუდული ზემოქმედებების წარმოშობა.

ზემოქმედება: ექსპლუატაციისა და ტექმომსახურების პერიოდში ფრინველების ე.გ.ხ.-სთან შეჯახებასთან, დენის დარტყმასთან და ავარიებთან დაკავშირებული რისკები.

შერბილება: ანძები დაპროექტდება ანძასა და სადენს და სადენებს შორის საკმარისი გაბარიტული დაშორებებით, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებულ ნებისმიერი ფრინველის ზომებზე მეტი იქნება, რამაც უნდა გამორიცხოს ფრინველებზე დენის დარტყმის შესაძლებლობა. დამატებით, თუ ხაზის რომელიმე მონაკვეთი კვეთს ფრინველების მიგრაციისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ან გადის წყლის ფრინველების (იხვები, ბატები, გედები, ყანხები და ა.შ.) ბუდობის ადგილებთან ახლოს, მაშინ ასეთ მონაკვეთებზე სადენებზე დამონტაჟდება მათი ხილვადობის გასაუმჯობესებელი საშუალებები, რათა ფრინველებმა შეძლონ შეჯახების თავიდან აცილება.

ზემოქმედება: მძღოლებისთვის და ფეხით მოსიარულეთათვის სახიფათო სიტუაციების შექმნა სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის შედეგად.

შერბილება: სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება და შესრულება, რაც მოიცავს ავტომობილების სათანადოდ მარკირებას და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ნიშნების (განათებით) დაყენებას. მძღოლებისთვის ინსტრუქტაჟების ჩატარება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში.

ზემოქმედება: ე.გ.ხ.-ს დერეფანში გასატარებელი მცენარეულობის მართვის ღონისძიებები მოიცავს ხეების მოჭრას/გადაბეღვას ანძებიდან და სადენებიდან სათანადო გაბარიტული მანძილების დასაცავად. ამან შეიძლება გამოიწვიოს ჰაბიტატების დანაწევრება და, ასევე, ხანძრის გაჩენის საშიშროება, მოჭრილი მერქნის ადგილზე დატოვების შემთხვევაში.

შერბილება: მოჭრის და ბეღვის სამუშაოები შესრულდება მინიმალური მოცულობით, რომელიც აუცილებელია სავალდებულო გაბარიტული მანძილების შესანარჩუნებლად.

ხანძრის პრევენციისთვის, ყველა ააღებადი მოჭრილი მცენარეულობა გამოტანილ იქნება დერეფნიდან ან, შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში – დაიწვება. შედარებით ვიწრო დერეფნებმა არ უნდა შეუქმნან მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ცხოველების გადაადგილებას და, შესაბამისად, ჰაბიტატების მნიშვნელოვან ფრაგმენტაციას ადგილი არ ექნება. უფრო მეტიც, დერეფანი გააფართოვებს “განაპირა ჰაბიტატს”, რამაც ხელი შეიძლება შეუწყოს მისი სახეობრივი მრავალფეროვნების გამდიდრებას.

ზემოქმედება: საწვავის დაღვრა

შერბილება: დაღვრილი საწვავი უნდა შეგროვდეს, ხოლო დაბინძურებული შემაკავებელი ზვინული – დამუშავდეს სორბენტებით, როგორებიცაა ნახერხი, ქვიშა ან ჩალა. საწვავის/ნახშირწყალბადების მასალების გამოსაშვები ყველა საცმი (“პისტოლეტი”) უნდა იყოს წვეთვის საწინააღმდეგო კონსტრუქციის და საიმედოდ იკეტებოდეს ყოველი გამოყენების შემდეგ. აიკრძალება საწვავის შენახვა ან ტექნიკის გამართვა ნებისმიერი წყალსადინრიდან, ზედაპირული წყლის ობიექტიდან, ჭიდან, მშრალი ხევიდან და იდენტიფიცირებული ჭარბტენიანი უბნიდან ან მიწისქვეშა წყლის გავრცელების ჰორიზონტიდან 50 მ-ზე ნაკლები დაშორებით. საწვავის გამართვის დროს ავტომობილები მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. სამშენებლო უბნებზე საწვავით გამართვის ოპერაციების შესრულებისას, ყოველთვის იქნება გამოყენებული სორბენტული (შემწოვი) საფენები და/ან ჩალა დაღვრილი მასალის გავრცელების მინიმიზირების მიზნით, რომლებიც საწვავის გამართვამდე სათანადოდ იქნებიან დაგებული.

ზემოქმედება: საგანგებო სიტუაციები და უბედური შემთხვევები. ე.გ.ხ.-ს სადენების გაწვევტამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივ მოსახლეების და/ან მათი საქონლის სიკვდილი. ადამიანები და ქონება, მათ შორის საქონელი, შეიძლება დაზიანდეს ანძის წაქცევის და ძაბვის ქვეშ მყოფი ხაზების ჩამოვარდნის ან ანძის მდგრადობის დაკარგვის (მაგალითად, მიწისძვრების ან ძლიერი ქარების მოქმედებით) მიზეზით. ადამიანების გარდაცვალება და დაშავებები ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ქვესადგურზე მომხდარი ავარიებით (მეხის დაცემა, ხანძარი და ა.შ.) და ხანძრით (განსაკუთრებით ტყიან ტერიტორიებზე). დაშავების ან სიკვდილის საფრთხე ემუქრებათ ანძებზე უნებართვოდ ასულ ან სადენებთან რაიმე სხვა გზით მიახლოებულ პირებს.

შერბილება: გზშ-ს ცალკე დანართის სახით წარმოდგენილია “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების” დეტალური გეგმა. ქვესადგურებსა და ე.გ.ხ.-ებზე დაყენებულ იქნება დამიწებისა და მეხდამცავი სისტემები, როგორც ეს მოქმედი ტექნიკური ნორმებით მოითხოვება. უზრუნველყოფილ იქნება მზადყოფნა “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმით” გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად და დაკმაყოფილდება საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნები, პერსონალური დაცვის აღჭურვილობის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესების შესრულებასთან ერთად. “ენერგოტრანსი” გაავრცელებს ინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მისაღები დამცავი ზომების შესახებ. ამ მიზნით მომზადდება და გამოიცემა ადგილობრივ ენაზე შედგენილი ბროშურა, რომელშიც მოცემული იქნება თუ რა უნდა მოიმოქმედონ ადგილობრივი თემების წევრებმა დაშავებებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. მოსახლეებს ეცნობებათ, თუ როდის არის განსაკუთრებით სახიფათო სადენების ქვეშ ან ახლოს ყოფნა (მაგალითად, გრივალების და სეტყვის დროს) შესაბამის დამცავ მოქმედებებთან ერთად და მიეცემათ გაფრთხილება თავი შეიკავონ დაწვეულ სადენებთან და/ან გადახრილ ანძებთან მიახლოებისგან. ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში, “ენერგოტრანსი” მუდმივად ამუშავებს 24-საათიან საკონტაქტო ტელეფონს პრობლემების და ხაზის დაზიანების თაობაზე შეტყობინებების მიღების მიზნით.

7. პოტენციური სოციალური ხასიათის ზემოქმედებები და მათი უმეარობილება ღონისძიებები

პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედებები ადგილობრივ მოსახლეობაზე როგორც მოკლე ასევე გრძელვადიანი ხასიათის იქნება. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სოციალური ზემოქმედება განხილულ უნდა იქნას რეგიონში და მთელს ქვეყანაში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების, ელექტროენერჯის ექსპორტისა და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის და, ასევე, ლოკალური გამანაწილებელი ქსელების საიმედოობის გაუმჯობესების ფართო კონტექსტში. ამ მიმართულებებით პროექტი ხელშესახებ დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

დადებითი ზემოქმედებები

სარგებელი, რომელსაც პროექტი მოუტანს ადგილობრივ თემებს ძირითადად არაპირდაპირი ხასიათისაა. ამჟამად, სოფლის მოსახლეობა მეტწილად თვითდასაქმებულია და საკუთარი სავარგულების დამუშავებით არის დაკავებული. შინამეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან გასაყიდად მხოლოდ მცირე ნაწილია გამიზნული, ხოლო წარმოებული პროდუქტების ღირსის წილი საკუთარი მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. ასევე არაპირდაპირ, ელექტროენერჯის სტაბილური ქსელების შექმნა ხელს უწყობს სხვა დარგების, კერძოდ ტურიზმისა და კვების პროდუქტების გადამუშავების სექტორების განვითარებასაც, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში და, მათ შორის, ელექტროგადამცემი ხაზების გასწვრივ მდებარე თემებში.

იმავდროულად, პროექტთან ლოკალური განვრცობის მქონე რამდენიმე პირდაპირი სარგებელიც არის დაკავშირებული, როგორებიცაა:

- მშენებლობის პერიოდში დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა
- ახალი მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა სოფლებში ჯვარი და ხორვა
- სტაბილური ელექტრომომარაგება

უარყოფითი ზემოქმედებები

- **ზემოქმედება:** მტვრის და ხმაურის წარმოშობა მშენებლობის შედეგად.
შერბილების ზომა: მტვრის კონტროლი მორწყვის საშუალებით განხორციელდება, რისთვისაც მინიმუმ 2 ცისტერნა იქნება გამოყენებული; ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგოდ გათვალისწინებულია მაცუჩების დაყენება ხმაურიან მოწყობილობაზე და მუშაობის დროის დღის საათებით შემოფარგვლა.
- **ზემოქმედება:** დაავადების გადამტანების, მაგ., კოლოების დროებითი გამრავლების უბნების შექმნა, როგორცაა წყლის გუბეები, გრუნტის რეზერვუბსა და კარიერებში დაგროვილი წყალი და ა.შ., რომლებიც ხელს უწყობენ კოლოებისა და დაავადების სხვა გადამტანების გამრავლებას.
შერბილების ზომა: საჭიროა გუბეების დაშრობა. გაზაფხულის მოსვლამდე მოსპეთ ყველა გუბე. აღადგინეთ რელიეფი და ლანდშაფტი.
- **ზემოქმედება:** მეორადი დაბინძურება ინფექციური ბიოლოგიური მასალებით (მაგ., ციმბირის წყლულით) მიწის სამუშაოების წარმოებისას ეპიდემიის კერებთან ახლოს (ანუ ციმბირის წყლულის არარეგისტრირებული უბნები).
შერბილების ზომა: მუდმივი მონიტორინგის წარმოება გაკაფვისა და თხრის სამუშაოების წარმოებისას. სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტა და შეჩერება სამარხის ნარჩენების გამოვლენის შემთხვევაში, ადგილობრივი ვეტერინარული

სამსახურის საქმის კურსში ჩაყენება და სამუშაო უბნის ვეტერინარული დეზინფიცირება მუშაობის დაწყებამდე.

- **ზემოქმედება:** მძღოლებისთვის და ფეხით მოსიარულეთათვის სახიფათო სიტუაციების შექმნა სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის შედეგად.
შერბილება: სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება და შესრულება, რაც მოიცავს ავტომობილების სათანადოდ მარკირებას და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ნიშნების (განათებით) დაყენებას. მძღოლებისთვის ინსტრუქტაჟების ჩატარება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში.
- **ზემოქმედება:** მშენებლობამ შეიძლება განაპირობოს მიწის ნაკვეთების მისადგომობის მოკლევადიანი შეზღუდვები ან საქონლის და/ან უძრავი ქონების განადგურება/დაზიანება ავარიების შედეგად.
შერბილება: ადგილობრივ მოსახლეობას საკმარისად წინასწარ ეცნობება მისადგომობის შეზღუდვის წარმოქმნის შესახებ. მისასვლელეები შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში იქნება აღდგენილი. ავარიებით გამოწვეული ზარალი ბოლომდე იქნება ანაზღაურებული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
- **ზემოქმედება:** ხაზიდან 30 მეტრში დაუშვებელია სახლების არსებობა, რის გამოც შესაძლოა საჭირო გახდეს ზოგიერთი პირის გადაბარგების საჭიროება სადმე სხვაგან მდებარე საცხოვრისში ან სამუშაო შენობებში. გარდა ამისა, ანძებს ქვეშ მიწა შექმნილ უნდა იქნას “ენერგოტრანსი“-ს მიერ და, შესაბამისად, ადამიანები ვეღარ ისარგებლებენ ამ მიწის მცირე ფართობებით. ელექტროსადენების ქვეშ არსებული მიწები შეიძლება კვლავ იქნან გამოყენებული
შერბილება: სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმის შემუშავება და შესრულება, რაც მოიცავს ავტომობილების სათანადოდ მარკირებას და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ნიშნების (განათებით) დაყენებას. მძღოლებისთვის ინსტრუქტაჟების ჩატარება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში.

კულტურული მემკვიდრეობა

- **ზემოქმედება:** არქეოლოგიური უბნები. ანძების საძირკვლების მშენებლობის პერიოდში სამუშაო მოედნებზე მცენარეულობის ამოძირკვის, ზედაპირი მოშანდაკების და თხრის სამუშაოების წარმოებამ შესაძლოა გამოიწვიოს მიწისქვეშა არქეოლოგიური ნარჩენების დაზიანება/განადგურება.
შერბილების ზომა⁵: რეკომენდებულია წინასწარი კვლევის ჩატარება ანძების განთავსების ადგილების გარშემო გარშემო პოტენციური არქეოლოგიური უბნების გამოვლენის მიზნით. არქეოლოგიური არტეფაქტების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში აუცილებელია არქეოლოგიური ზედამხედველობა. ზედამხედველობის პროცედურები და ყველა სხვა საჭირო ზომა უნდა შეთანხმდეს კულტურის სამინისტროსთან მშენებლობის ნებართვის გაცემის წესების შესაბამისად. მშენებლობის ეტაპზე, კონტრაქტორმა

⁵ საქართველოს კულტურის სამინისტრო ერთ-ერთია იმ ორგანოებს შორის, რომელთა თანხმობა აუცილებელია მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად. სამინისტროს დამტკიცებული აქვს თანხმობის გაცემისთვის მიწისქვეშა არქეოლოგიური ძეგლების 3-საფეხურიანი კვლევის პროცესი. პირველ საფეხურზე უნდა ჩატარდეს ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება და კამერალური გამოკვლევა. არქეოლოგიური აღმოჩენების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ინიცირდება კვლევის მე-2 საფეხური, რომელიც მოიცავს შურფების გათხრას აღმოჩენის მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით. და ბოლოს, თუ წინა საფეხურებზე ჩატარებული კვლევებით ამის აუცილებლობა დადასტურდა, გათვალისწინებულია მე-3 საფეხური, რომელიც მოიცავს სრულმასშტაბიან საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს. კულტურის სამინისტროს თანხმობის მისაღებად, ნებართვის მაძიებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, სულ ცოტა, კვლევის პირველი საფეხურის განხორციელება. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, საჭიროებისამებრ, უნდა შესრულდეს ე.წ. “შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურა”.

უნდა უზრუნველყოს არქეოლოგიური მონიტორინგის წარმოება საქართველოს ულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ.

ექსპლუატაციის ეტაპის ზემოქმედებები

- **ზემოქმედება:** ელექტრომაგნიტური ველები. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ სადენებთან ახლოს ყოფნის შემთხვევაში, ადამიანები შეიძლება მოექცნენ ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების ქვეშ.
შერბილებების ზომა: ადამიანებზე ზღვრულ დასაშვებზე მაღალი სიდიდის ელექტრომაგნიტური ველის მოქმედება თავიდან იქნება აცილებული სანიტარული დაცვის ზონების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ელექტროგადამცემი ხაზის კომპონენტების და ქვესადგურის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებიდან უსაფრთხო მანძილით მოცილების გზით.
- **ზემოქმედება:** ავარიული სიტუაციები და ავარიები: (მაგ. სადენის გაწყვეტა) ხაზების რღვევამ ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ შეიძლება, გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობის და/ან მათი ცხოველების დაღუპვა. ავარიამ ქვესადგურზე (მეხი, ხანძარი და სხვ.) შეიძლება, გამოიწვიოს ადამიანური მსხვერპლი და ხალხის დაშავება.
შერბილება: ქვესადგურზე უნდა მოეწიოს დამიწებისა და მეხამრიდი სისტემა; საჭიროა ელექტროგადამცემი ხაზების დამიწება არსებული ნორმების გათვალისწინებით; უნდა შემუშავდეს ავარიაზე რეაგირების გეგმა და უზრუნველყოფილი იყოს საავარიო მზადყოფნა. მუშა პერსონალს უნდა დაურიგდეს უსაფრთხოების აღჭურვილობა და დაცვის პერსონალური საშუალებები; ელექტროგადამცემი ხაზების მუდმივი მონიტორინგი და ტექნიკური მომსახურება.

მიწით სარგებლობა და მიწის შესყიდვის მოსალოდნელი მასშტაბი

ჯვარი-ხორგას 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოხვდეს მიახლოებით 900 კერძო მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 95 ჰა და ასევე აუცილებელი გახადოს 12-მდე საცხოვრებელი სახლის აღება. გარდა ამისა, ზემოქმედების ქვეშ ექცევა კიდევ 221 ჰექტარი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწები. 500 კვ ე.გ.ხ.-ს მშენებლობამ შეიძლება ზემოქმედება იქონიოს მიახლოებით 180 კერძო ნაკვეთზე (ჯამში 20.8 ჰა ფართობით), 11 საცხოვრებელ სახლზე და 44 ჰა ფართობის სახელმწიფო მიწებზე. ეს მონაცემები წინასწარი და მიახლოებითი ხასიათისაა, თუმცა მაინც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას მიწის შეძენასა და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედებების მასშტაბების შესახებ. მიწის შეძენით გამოწვეული ზემოქმედებებისა და ხაზის სიახლოვის გამო შინამეურნეობების გადასახლების საჭიროების შესამცირებლად საჭიროა მარშრუტის შემდგომი დახვეწა (რაც განსაკუთრებით ანძების სამშენებლო მოედნების შერჩევას შეეხება). გასხვისების ზოლში მიწის უმეტეს ნაწილზე მოხდება მხოლოდ ნაწილობრივი ზემოქმედება (დროებითი ზემოქმედება მშენებლობის პერიოდში), ხოლო მშენებლობის შემდგომ დაწესდება გარკვეული მუდმივი შეზღუდვები (60 მ სიგანის გასხვისების ზოლში აიკრძალება საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ხეების დარგვა). მუდმივად მხოლოდ ანძების ქვეშ მიწის ფართობები იქნება შესაძენი.

მისასვლელი გზების მოწყობისთვის ძალზედ მცირე კერძო მიწის ფართობები მოითხოვება, რადგან ხაზებთან მიდგომისთვის საჭირო გზების უდიდესი ნაწილი უკვე არსებობს. 220 კვ ე.გ.ხ.-ს უმრავლესობა ანძების სამშენებლო უბნებზე მისვლა სამხარეო და სასოფლო დანიშნულების გზებით შეიძლება. არსებული გზები გასაფართოებელი იქნება მხოლოდ ტყიან ტერიტორიებზე გამავალ რამდენიმე მონაკვეთზე, კერძოდ სოფლებს ნაპოშტუს და ბაიას (მიახ. 1კმ სიგრძის) და გრიგოლიშსა და ნათსატუს (1კმ) შორის. 500 კვ ხაზის ანძების მშენებლობისთვის გამოყენებულ იქნება არსებული

სასოფლო მოხრეშილი გზები. აქ გაფართოება 1 კმ სიგრძის მონაკვეთს დასჭირდება და კიდევ 1 კმ სიგრძის ახალი მონაკვეთი იქნება გასაყვანი (ანძების სამშენებლო უბნებთან მისვლისთვის გამოყენებულ იქნება გასხვისების ზოლი).

პროექტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო მიწები მეტწილად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და სიმინდს და თხილ უჭირავს. ასევე ფართოდ არის გავრცელებული ხეხილი (ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ბალი, ალუბალი, კომში, ყურძენი და ციტრუსები). ნაკლებად ნაყოფიერი მიწების ნაწილი, განსაკუთრებით მდინარეების ჭალებში, საძოვრებად გამოიყენება.

500 კვ ხაზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწიდან მიახ. 15 ჰა, ხოლო 220 კვ ხაზის შემთხვევაში – მიახ. 63 ჰა ტყეებს უკავიათ. ამ ტყიან ფართობების უდიდეს ნაწილს სახელმწიფო სატყეო ფონდი განკარგავს (იხ. სურ. 17), ხოლო დანარჩენი – კერძო საკუთრებაშია.

მიწის შექენასთან დაკავშირებული დროებითი და მუდმივი ზემოქმედებების სანაცვლოდ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი კერძო მიწის ნაკვეთებისა და მათზე განთავსებული აქტივების მესაკუთრეები მიიღებენ კომპენსაციას საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD-ის “მე-5 სამოქმედო მოთხოვნის” (“მიწის შექენა, არანებაყოფილობითი განსახლება და ეკონომიკური გადანაცვლება” შესაბამისად. მიწის შექენის პროცესის წარმართვის მიზნით დამუშავებულია “განსახლების სამოქმედო გეგმა”, რომელიც ხელმისაწვდომია განხილვისთვის გზშ-სა და წინამდებარე “არატექნიკურ რეზიუმე“-სთან ერთად.

8. მოთხოვნილი მოქმედებების შესრულება

გაცემული ნებართვები მოიცავენ მრავალ მოთხოვნას, რომელთაგან ბევრი ზემოთ არის განხილული. ამ მოთხოვნების შესრულებას მონიტორინგს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები გაუწევენ. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD-ის მოთხოვნების თანახმად შესასრულებელი რიგი მოქმედებები მითითებულია “გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში” (ISAP), რომელიც მომავალში შეადგენს “ენერგოტრანსსა” და EBRD-ის შორის გასაფორმებელი იურიდიული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

“ენერგოტრანსი” შეიტანს ESAP-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების პირობას ყველა სამშენებლო კონტრაქტში. “ენერგოტრანსს” და/ან კონტრაქტორ(ებ)ს ყველა სამშენებლო უბანზე ეყოლება სათანადოდ მომზადებული პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ნებართვებისა და ESAP-ის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაზე.

9. საზოგადოების ჩართულობა

მოცემული პროექტის შესახებ საჯარო კონსულტაციების პროცესი დაიწყო 2011 წლის სექტემბერში, გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების (“სკოუპინგის”) ინიცირებით. აღნიშნული წინასწარი შეფასების ეტაპზე შედგა შეხვედრები გარემოს დაცვის სამინისტროს (ნებართვების სამმართველოს, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს), ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების წარმომადგენლებთან.

საწყის კონსულტაციები ზემოაღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ორგანიზებული იყვნენ გზშ-ს სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრების

მიერ, ასევე მოიცავდნენ შეხვედრებს პროექტის ტერიტორიაზე მდებარე თემებშიც მათთან ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვის შეფასებისა და პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების მიზნით. ამ პროცესში კონსულტაციები გაიმართა როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებში, ასევე ადგილობრივ მოსახლეებთან. შეხვედრებზე ადგილობრივ თემებს ზეპირი და წერილობითი (ბროშურების) ფორმით მიეწოდებოდათ საწყისი ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით.

სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები მოეწყო შემდეგ სოფლებში:

სოფელი	მუნიციპალიტეტი
ახალსოფელი	ხობის რაიონის მუნიციპალიტეტი
საჯიჯაო	ხობის რაიონის მუნიციპალიტეტი
გრიგოლიში	ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტი
ეწერი	წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტი
ჯვარი	წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტი
ჭალე	წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტი

გზშ-ს საჯარო განხილვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

გზშ-ს პროექტის მომზადება დასრულდა 2012 წლის თებერვალში. პირველად ანგარიშის პროექტი 120-დღიანი განხილვისთვის 2012 წლის [redacted] მარტს გამოქვეყნდა. ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ, “ენერგოტრანსი“-ს თბილისის ოფისში და ხობის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში მოეწყო შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. განხილვის (120-დღიანი) პერიოდში და აღნიშნულ შეხვედრებზე გამოთქმული ყველა შენიშვნის გაანალიზების შემდეგ გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხები, ხოლო გზშ-ს პროექტში შეტანილ იქნა სათანადო კორექტივები. ამჟამად მოსალოდნელია, რომ აღნიშნული 120-დღიანი განხილვის პერიოდი გაგრძელდება 2013 წლის აპრილიდან 2013 წლის ივლისამდე. კონკრეტული თარიღები, დაზუსტების შემდეგ, გამოცხადდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, ხოლო ქვემოთ მითითებულ რაიონული ოფისების განცხადებების დაფებზე გაიკვრება შესაბამისი საინფორმაციო ფურცლები. აღნიშნულ პერიოდში საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ ანგარიშის განხილვისა და სსე-სთვის შენიშვნებისა და შეკითხვების მიწოდების შესაძლებლობა. შენიშვნების გაგზავნის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, გზშ კვლავ ხელმისაწვდომი დარჩება ფართო საზოგადოებისთვის.

გზშ-ს პროექტის საბოლოო ვარიანტი (მიღებული შენიშვნების საპასუხოდ შეტანილ სათანადო ცვლილებებთან ერთად) გამოქვეყნდება არანაკლებ 70 დღის შემდეგ გზშ-ს პირველი პროექტის გამოქვეყნების დღიდან და, ამასთან, არანაკლებ 50 დღით ადრე საბოლოო საჯარო განხილვის შეხვედრის მოწყობამდე, სანამ გზშ ოფიციალურად წარედგინება გარემოს დაცვის სამინისტროს.

გზშ-ს საჯარო განხილვა EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად

EBRD A კატეგორიის პროექტებისთვის მოითხოვს გზშ-ს საჯარო განხილვისა და კომენტარებისთვის პროექტის დირექტორთა საბჭოს მიერ განხილვამდე 120 დღით ადრე გატანას. მოსალოდნელია, რომ დირექტორთა საბჭო პროექტს 2013 წლის ივლისში ან აგვისტოში განიხილავს, ამიტომ გზშ-ს გამოქვეყნება მარტის ბოლოს დაიწყება. ამ

დროში მოეწეობა დაინტერესებულ მხარეებთან სულ ცოტა ერთი შეხვედრა, რომლის თარიღი და დრო დაზუსტდება და გამოცხადდება ადგილობრივ თემებში.

120-დღიან განხილვის პერიოდში, გზშ-ს სრული ტექსტი (და “დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გეგმა”, წინამდებარე “არატექნიკური რეზიუმე”, “გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა” და თავდაპირველი “განსახლების წინასწარი შეფასების დოკუმენტი”) ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (“სსე”) ოფისი:**
საქართველო, 0105 თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2; ტელ.: +(995 32) 510 263
- **ზუგდიდის რაიონის მუნიციპალიტეტი:**
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90; ტელ.: (8 415) 22 01 11
- **ხობის რაიონის მუნიციპალიტეტი:**
ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. 187; ტელ.: 8 (414) 22 21 77
- **წალენჯიხის რაიონის მუნიციპალიტეტი:**
ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. 5; ტელ.: 555 29 47 00
- **EBRD-ის ოფისები**
 - თბილისში:** საქართველო, 0102, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 6; ტელ.: 2 447400
 - ლონდონში:** Business Information Center, One Exchange Square, London EC2A2JN UK; Tel: +44 20 7338 7269 E-mail: StanojeS@ebrd.com

ზემოაღნიშნულის გარდა, გზშ-ს წინამდებარე “არატექნიკური რეზიუმე” ხელმისაწვდომი იქნება ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის მახლობლად მდებარე დიდი ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობის ორგანოების ოფისებში

დამატებით, გზშ-ს პროექტი და სხვა დოკუმენტები ხელმისაწვდომია სსე-ს ვებ-გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე შეიძლება ინახოს EBRD-ის ვებ-გვერდზეც: www.ebrd.com. პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და კითხვების გაგზავნისთვის საჭირო ინფორმაცია მოცემულია სსე-ს ვებ-გვერდზე და “დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გეგმაში”.